სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება
N G - 102502

ქ. თბილისი 25

ოქტომბერი **2017 წ.**

ერთის მხრივ **სსიპ „გარემოს ეროვნული სააგენტო"** (შემდგომში „შემსყიდველი") წარმოდგენილი მისი უფროსის **თამარ ბაგრატიას** სახით და მეორეს მხრივ **შპს „დელტა ჯორჯია" (ს/კ 445393823) წარმოდგენილი მისი გენერალური დირექტორის ჯევათ გუვენის მინდობილი პირის თამარ რომანაძის სახით** (შემდგომში „მიმწოდებელი"), „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ს'" ქვეპუნქტის საფუძველზე, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით დებენ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. გამოყენებული ტერმინების განმარტებები

ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

1.1 „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" (შემდგომ - „ხელშეკრულება") - შემსყიდველ ორგანიზაციასა და მიმწოდებელს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და დამატებებით და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებამი არის მინიშნებები.

1.2 „ხელშეკრულების ღირებულება" ნიშნავს საერთო თანხას, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა ორგანიზაციამ მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის;

1.3 „შემსყიდველი ორგანიზაცია" (შემდგომ „შემსყიდველი") ნიშნავს ორგანიზაციას (დაწესებულებას), რომელიც ახორციელებს შესყიდვას;

1.4 „მიმწოდებელი" ნიშნავს პირს, რომელიც მიაწოდებს საქონელს სახელმწიფო შესყიდვის შესახებ მოცემული ხელშეკრულების ფარგლებში;

1.5 „დღე", „კვირა", „თვე" ნიშნავს კალენდარულ დღეს, კვირას, თვეს.

2. ხელშეკრულების საგანი

2.1 წინამდებარე ხელშეკრულების საგანი: სსიპ „გარემოს ეროვნული სააგენტოს" მეთევზეობისა და მავი ზღვის მონიტორინგის დეპარტამენტისთვის პროექტ EMBLAS II-ის ფარგლებში დაგეგმილი საერთაშორისო იქთიოლოგიური ტრენინგის პროგრამასა და მისი ჩატარების უზრუნველყოფის მიზნით საკონფერენციო დარბაზის დაქირავების შესყიდვა 30 ოქტომბერს დილის 10:00 საათიდან საღამოს 17:00 საათამდე (15 პერსონაზე, დარბაზში უნდა იყოს პროექტორი პრეზენტაციებისთვის, საკანცელარიო ინვენტარი - კალამი და ჩასანიშნი ფურცლები 15 პერსონაზე, დღეში ორჯერ ყავა, დღეში ორჯერ სადილი - 13:00 საათზე), 26, 27 და 28 ოქტომბერს ტრენინგის საველე გასვლებისას მონაწილეთა ლანჩით უზრუნველყოფისა (დღეში ერთხელ, სულ სამჯერ) და 29 ოქტომბერს ვახშამით უზრუნველყოფის მომსახურეობის **(CPV- 79952000 – ღონისძიებების ორგანიზება) შესყიდვა.**

2.2 ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების ზუსტი აღწერა და რაოდენობა მოცემულია დანართი N1-სა და დანართი N2-ში, რომელიც წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

3 ხელშეკრულების ღირებულება

3.1 მომსახურების გაწევის ფასი განისაზღვრება ლარებში.

3.2 ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს 2250 (ორი ათას ორასორმოცდაათი) ლარს დღგ-ს ჩათვლით.

3.3 ხელშეკრულების ჯამური ღირებულება მოიცავს ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების გაწევასთან დაკავშირებულ ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს;

4 ანგარიმსწორების წესი

4.1 ანგარიმსწორება მოხდება ლარებში.

4.2 გადახდის ფორმა – უნაღდო.

4.3 დაფინანსების წყარო: გრანტი - სსიპ „გარემოს ეროვნულ სააგენტოსა" და გაერთიანებული ერების განვითარების პროგრამას (UNDP) შორის გაფორმებული საგრანტო ხელშეკრულება, მეორე ფაზა - EMBLAS-II პროექტის „შავ ზღვამი გარემოს მონიტორინგის გაუმჯობესება", რეგისტრაციის ნომერი №1218 (13.10.2016 წ).

4.4 ანგარიმსწორება განხორციელდება ფაქტიურად გაწეული მომსახურების მიხედვით მიღება–ჩაბარების აქტების საფუძველზე და სხვა დოკუმენტაციის წარდგენიდან 10 (ათი) სამუშაო დღის ვადამი.

5 ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

5.1 შემსყიდველი უფლებამოსილია განახორციელოს მიწოდებული საქონლის კონტროლი, ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ტექნიკურ პირობებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით.

5.2 მიმწოდებელი უფლებამოსილია დაესწროს ინსპექტირების პროცესს.

5.3 მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი რესურსებით უზრუნველყოს შემსყიდველი კონტროლის (ინსპექტირების) ჩატარებისათვის აუცილებელი ტექნიკური საშუალებით.

5.4 ინსპექტირებას „შემსყიდველის" მხრიდან განახორციელებს სსიპ „გარემოს ეროვნული სააგენტოს" მეთევზეობისა და შავი ზღვის მონიტორინგის დეპარტამენტის თანამშრომელი.

6 მომსახურების გაწევის პირობები

6.1 ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების ზუსტი აღწერა და რაოდენობა მოცემულია დანართი N1-სა და დანართი N2-ში .

6.2 მომსახურების გაწევა საკონფერენციო დარბაზით მომსახურებაზე განხორციელდება 2017 წლის 30 ოქტომბერს დილის 10:00 საათიდან საღამოს 17:00 საათამდე, ხოლო ვახშამით მომსახურებაზე განხორციელდება 2017 წლის 29 ოქტომბერს საღამოს.

6.3 მომსახურების გაწევა განხორციელდება მიმწოდებლის ფაქტიურ მისამართზე: ქ. ბათუმი,შერვაშიძის აღმართი ქ.№28.

7 შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარება განხორციელდება შემსყიდველისა და მიმწოდებლის უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებით შემსყიდველის მხრიდან მიღება ჩაბარების აქტებზე ხელმოწერას და საქონლის მიღების დადასტურებას განახორციელებს სსიპ „გარემოს ეროვნული სააგენტოს" მეთევზეობისა და შავი ზღვის მონიტორინგის დეპარტამენტის უფროსი.

8 პასუხისმგებლობა

8.1 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან შესრულების ვადის გადაცილებისათვის მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა - შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 10%-ის ოდენობით, რომლის გადახდა მოხდება მისთვის ასანაზღაურებელი თანხიდან გადახდის ეტაპზე გამოქვითვის საშუალებით ან მის მიერ ამ თანხის გადახდით შემსყიდველის წერილობითი მოთხოვნის მიღებიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღის განმავლობაში.

8.2 იმ შემთხვევაში, თუ ვადების გადაცდენისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 3%-ს, მხარეს უფლება აქვს ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება.

8.3 პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

9 ხელშეკრულების მოქმედების ვადა

წინამდებარე ხელშეკრულება ძალამია ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2017 წლის 08 დეკემბრის ჩათვლით.

10 ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

10.1 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

10.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიმობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

10.3 ნებისმიერი ცვლილება, რომელსაც მოჰყვება ხელშეკრულების ფასის გაზრდა ან მემსყიდველისათვის პირობების გაუარესება, დაუშვებელია გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული მემთხვევებისა „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მოთხოვნათა გათვალისწინებით.

11 ხელშეკრულების შეწყვეტა

მემსყიდველს შეუძლია შეწყვიტოს ხელშეკრულება:

ა) თუ მიმწოდებელს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში არ შეუძლია მიაწოდოს საქონელი ან მისი ნაწილი;

ბ) თუ მიმწოდებელს არ შეუძლია შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული სხვა რომელიმე ვალდებულება დაკავშირებული მისაწოდებელი საქონლის ხარისხთან და ა.შ.

გ) თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

დ) მიმწოდებლის გაკოტრების შემთხვევაში;

ე) მხარეთა წერილობითი შეთანხმების შემთხვევაში;

ვ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

12 ფორს-მაჟორი

12.1 ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი.

12.2 ამ მუხლის მიზნებისათვის `ფორს-მაჟორი~ ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

12.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, 3 დღის განმავლობაში უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

13 სადაო საკითხების გადაწყვეტა

ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

14 უფლებების გადაცემა

მიმწოდებელმა შემსყიდველის წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე, არც მთლიანად და არც ნაწილობრივ არ უნდა გადასცეს მოცემული ხელშეკრულებით არსებული თავისი ვალდებულებები მესამე პირს.

15 ხელშეკრულების ენა

ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების მეორე მხარე არის უცხო ქვეყნის წარმომადგენელი, მაშინ მეორე ეგზემპლიარი ითარგმნება მიმწოდებლისათვის მისაღებ ენაზე. ინტერპრეტაციისას ქართულ ენაზე დაწერილი ხელშეკრულება წარმოადგენს გადამწყვეტს. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული მთელი წერილობითი მოლაპარაკებები და სხვა დოკუმენტაცია, რომელიც გაიცვლება მხარეთა მორის, უნდა შეესაბამებოდეს აღნიშნულ პირობებს.

16 მეტყობინების განხორციელება

ნებისმიერი მეტყობინება, რომელსაც ერთი მხარე, ხელშეკრულების შესაბამისად, უგზავნის მეორე მხარეს, გაიგზავნება წერილის, ელექტრონული ფოსტის ან ფაქსის სახით, ორიგინალის შემდგომი წარმოდგენით, ხელშეკრულებაში მითითებული მეორე მხარის მისამართზე.

17 გადასახადები და დაბეგვრა

მიმწოდებელი პასუხს აგებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადების, მოსაკრებლების და სხვა გადასახდელების გადახდაზე, თუ ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

18 დამატებითი პირობები

18.1 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, სამ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან (ერთი პირი მიმწოდებელთან და ორი პირი შემსყიდველთან). ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა მესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

18.2 ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების და/ან დამატების მეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე, ხელშეკრულების დამატებითი შეთანხმების სახით, რომელსაც ექნება იგივე იურიდიული ძალა რაც წინამდებარე ხელშეკრულებას.

შემსყიდველი:

სსიპ „გარემოს ეროვნული სააგენტო"
მის: ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზ. №150.
საიდენტიფიკაციო კოდი: 204559691
მიმღები ბანკი: სახელმწიფო ხაზინა
მიმღების დასახელება: ხაზინის ერთიანი ანგარიში
ბანკის კოდი: TRESGE22
ტელ: 243 95 45

მიმწოდებელი:

მპს „დელტა ჯორჯია"
ს/კ 445393823
ფაქ.მის:ქ.ბათუმი,შერვაშიძის
აღმართი ქ.№28.
ბანკი: სს „თიბისი ბანკი"
კოდი: TBCBGE22
ა/ა GE 03 TB 7337 7360 2010 0004
ტელ.: 557 73 51 77

თამარ ბაგრატია
სააგენტოს უფროსი

თამარ [illegible]
ჯევათ გუვენის [illegible]
დირექტორის მინდობილი პირი

2017 წლის 25 ოქტომბრის NG-102502 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების დანართი N1

N	მომსახურება	ტიპი	რაოდენობა	ერთეულის ფასი	დღეების რაოდენობა	საერთო ღირებულება
	1	2	3	4	5	6
1	საკონფერენციო დარბაზი 30 ოქტომბერს	10:00 სთ-დან 17:00 სთ-მდე 15 პერსონაზე.	1	150	1	150
2	ყავის შესვენება (30 ოქტომბერს ორ-ორჯერ)	11:00 სთ-ზე და 15:00 სთ-ზე, 2 სახის კრემიანი ნამცხვარი; 2 სახის მშრალი ნამცხვარი; ყავა-ჩაი-წვენი-რძე-წყალი.	15	10	2	300
3	სადილი (30 ოქტომბერს)	13:00 სთ-ზე, კიტრი-პომიდვრის სალათი, ოლივიას სალათი, ოჯახური ღორის ან ხბოს ხორცით, ხაჭაპური იმერული, მექსიკური კაროფილი, ქათმის მწვადი, ღორის მწვადი, ხილის ასორტი, ლიმონათი,ნაბეღლავი	15	20	1	300
4	ლანჩ ბოქსი (26, 27 და 28 ოქტომბერს)	კიტრი-პომიდვრის სალათი, ოლივიას სალათი, ოჯახური ღორის ან ხბოს ხორცით, ხაჭაპური იმერული, მექსიკური კაროფილი, ქათმის მწვადი, ღორის მწვადი, ხილის ასორტი, ლიმონათი,ნაბეღლავი	15	20	3	900
5	ვახშამი 29 ოქტომბერს	იხ. დანართი №2	15	40	1	600
	სულ ჯამი დღგ–ს ჩათვლით					2250 (ორი ათას ორასორმოცდაათი) ლარი

შემსყიდველი:
სსიპ „გარემოს ეროვნული სააგენტო"

თამარ ბაგრატიონ
სააგენტოს
უფროსი

მიმწოდებელი:
შპს „დელტა ჯორჯია"

თამარ ტიმანაძე
ჯევათ გუვენის ტექნიკური
დირექტორის მინდობილობით

ხელწერილი

ინტერესთა კონფლიქტის არარსებობის შესახებ

ჩვენ, ქვემოთ ხელის მომწერნი ვადასტურებთ, რომ აღნიშნული შესყიდვის განხორციელებასთან დაკავშირებით ჩვენი მონაწილეობა არ ეწინააღმდეგება „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მოთხოვნებს და ინტერესთა კონფლიქტში არ ვიმყოფებით.

_____ თამარ ბაგრატია

_____ შორენა იოსებიძე

_____ ნიკოლოზ ქართველიშვილი

_____ ბრჩილ გუჩმანიძე

_____ ლაშა სალუქვაძე

_____ ნოდარ ლეკიშვილი